საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 04 მაისი, 2012 წელი

გადაწყვეტილება № 2

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის I პუნქტის, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 აპრილის №118 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე–5 მუხლს დაემატოს 2.2. პუნქტი:

● სახვითი, სასცენო და კინოტელეხელოვნების მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში 1 კრედიტში საათების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად (გარდა მუსიკის ფაკულტეტისა):

▪ საშემსრულებლო მიმართულებით – 1 კრედიტი (25 სთ), საკონტაქტო – 15 სთ, არასაკონტაქტო – 10 სთ;

▪ თეორიულ – საშემსრულებლო მიმართულებით – 1 კრედიტი (25 სთ), საკონტაქტო – 10 სთ, არასაკონტაქტო – 15 სთ;

▪ თეორიული მიმართულებით – 1 კრედიტი (25 სთ), საკონტაქტო – 5 სთ, არასაკონტაქტო – 20 სთ;

● განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში 1 კრედიტში საათების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

▪ სპეციალობის დისციპლინებში: 1 კრედიტი (25 სთ), საკონტაქტო - 10 საათი, არასაკონტაქტო - 15 საათი;

▪ საუნივერსიტეტო დისციპლინები: 1 კრედიტი (25 სთ), საკონტაქტო - 5 საათი, არასაკონტაქტო - 15 საათი;

● ყველა მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მეტყველებისა და ინგლისური ენის დისციპლინებში: 1 კრედიტი (25 სთ.), საკონტაქტო - 15 საათი, არასაკონტაქტო - 10 საათი.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**